91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №8 (7107) 15 აპრილი 2024 წელი

ჩვენი გოლგოთა და ამაღლება

35 წელი გავიდა 9 აპრილის ტრაგედიიდან ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 1989 წლის 9 აპრილს, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულები გაიხსენეს.

მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, ქ.თერჯოლაში, 9 აპრილს დაღუპული გმირების მემორიალი საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან, ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტ გიორგი შალამბერიძესთან ერთად გვირგვინით შეამკო.

„1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაცია დაარბია. დარბევის დროს დაშავდა ასობით ადამიანი, დაიღუპა 21 მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ დაღუპულთაგან 17 იყო ქალი. ქართველი ქალების და ახალგაზრდა ვაჟკაცების ერთიანობამ მოგვიტანა ჩვენი სამშობლო

დღემდე, ამ ერთიანობით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა“—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით ასევე მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, მიტროპოლიტმა გიორგიმ, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ.

სასულიერო პირებმა გმირების სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს. გმირთა მემორიალთან მოეწყო შთამბეჭდავი მხატვრულ-ლიტერატურული პერფორმანსი, რომელიც 9 აპრილის თემაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა მოამზადეს.

იმავე დღესვე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სოფელ ძევრში არსებული გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას.

9 აპრილის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები, საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები და თერჯოლის საზოგადოების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

იმ დღეს, იქ შეკრებილთა სახეზე კარგად იკითხებოდა ის ტკივილი, რაც წლებია, საქართველოს თავსდატეხილი ამ ტრაგედიის გამო აწუხებთ.

მამული, ენა, სარწმუნოება

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?... სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“—ასე დამოძღვრა ყველა დროისა და ეპოქის ქართველობა წმინდანად შერაცხულმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ერის ერთ-ერთმა უპირველესმა შვილმა დიდმა ილიამ...

14 აპრილი განსაკუთრებული დღეა საქართველოში, ჩვენი სათაყვანებელი და საამაყო სახელმწიფო ენის, ქართული ანბანის დღე!

ის ფაქტი, რომ მსოფლიოში არსებული სულ 14 ანბანიდან ერთი ქართულია და 14 ანბანიდან სწორედ ქართული ანბანია ერთ-ერთი უძველესი და პირველი, რომელიც მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვდა, რომ 14 ანბანიდან ერთადერთია, რომელსაც სამი ცოცხალი სახეობა გააჩნია (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) და ეს აღიარა მსოფლიომ. ნამდვილად გვაქვს უფლება სრულიად საქართველო გამორჩეული პატივით, სიყვარულით, სიამაყით და მოწიწებით ვმადლობდეთ უფალს, იმ დიდებულ წინაპართა გამო, რომელთა მეოხებითა და გონიერებით ასეთი საგანძური გვხვდა წილად.

☞5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2,3

ცქრიალა ღვინო განსაკუთრებული არომატით ☞4

ჩემი მასწავლებლის ოთხმოცდამეთექვსმეტე გაზაფხული... ☞5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ბავშვიანი ოჯახების მხარდასაჭერად

ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, 28 მარტს, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ოჯახებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადაეცათ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, რამდენიმე ბენეფიციარს პირადად ესტუმრა და საოჯახო ტექნიკა გადასცა.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ესწრებოდა, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ხელმძღვანელი პირები მრავალშვილიან ოჯახებს სამომავლოდაც დაჰპირდნენ მხარდაჭერას.

,,ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, უკვე მეორე წელია წარმატებით ხორციელდება. მიმდინარე წელს, სოციალური მიმართულებით ოჯახების გაძლიერებას და მათზე ზრუნვას, მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცა. ბავშვთა კეთილდღეობა და მათი საარსებო პირობების გაუმჯობესება, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია“ —აღნიშნა მანუჩარ რობაქიძემ.

საგზაო ინფრასტრუქტურა

ამ დღეებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, სოფელ გოდოგანში იმყოფებოდა.

მათ გოდოგანში, ხორხის უბნის მშენებარე გზა დაათვალიერეს, სადაც არმირებული ბეტონის საფარი იგება. სამუშაოებს აწარმოებს შპს ,,გი-ან 2011“. ამ კეთილმოწყობილი გზით 250 ოჯახი ისარგებლებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ თერჯოლის ჯაბიძის და სულხან -საბას ქუჩებზე, ასევე მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში.

სამუშაო შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, საკრებულოში გოდოგნის დეპუტატი გრიგოლ გიორგაძე ესწრებოდნენ.

საზანო-26 მაისის დამაკავშირებელი გზა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად მიმდინარეობს ორი სოფლის, 26 მაისისა და საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

ამ ეტაპზე გზის მშენებარე მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი ეწყობა.

ამ დღეებში სოფელ 26 მაისში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროცესი ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ. მერის განცხადებით—,,აღნიშნული საგზაო მონაკვეთის მოწყობა უმნიშვნელოვანესია, რადგან ამ გზით ორი სოფელი სარგებლობს და ყოველდღიურ რეჟიმში ათეულობით ადამიანი გადაადგილდება, პროექტის დასრულების შემდეგ კი მოსახლეობა, მარტივად და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეძლებს მოძრაობას“.

საგზაო პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, მისი საერთო ღირებულება 315 000 ლარია. სამუშაოებს ასრულებს შპს ,,ჯეო როუდ ინვესტი“.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ზედა საზანოს დეპუტატი დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს წევრი, კობა კაცაძე, ზედა საზანოში მერის წარმომადგენელი გიორგი ჩუბინიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

მორიგი გაფართოებული სამუშაო თათბირი მერიაში

8 აპრილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში მორიგი სამუშაო თათბირი გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე უძღვებოდა.

თათბირს მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ასევე ა(ა)იპ -ების ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე, მიმდინარე წელს განხორციელებულ, დასასრულებელ და გარდამავალ პროექტებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს.

მერის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს სოფლებში მიმდინარე იმ ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც მოსახლეობის საჭიროებებზეა მორგებული და მუნიციპალიტეტის და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, გოდერძი თურქაძემ აღნიშნა, ყველა პროექტი ხარისხისა და ვადების სრული დაცვით სრულდება. ეს განსაკუთრებით ეხება 2024 წელს დაგეგმილ 21 იმ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს. რეგიონული განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, ადმინისტრაციულ ერთეულებში წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგების სისტემა.

დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში.

დასკვნით ეტაპზეა ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის კეთილმოწყობა. მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს ძევრის და ეწრის სკოლამდელ დაწესებულებებში, ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში. სოფლებში ეწყობა საბავშვო და სპორტული ინფრასტრუქტურა.

შეხვედრაზე დამაიმედებელი ინფორმაცია გააკეთა საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში შთამბეჭდავი შედეგია მიღწეული ფინანსური შემოსავლების სახით, რაც სამუშაოების დროულად და სრულად დაფინანსების კარგი გარანტიაა.

შეხვედრაზე დაისვა საკითხი იმ სოფლის ბიბლიოთეკების ამოქმედებასთან დაკავშირებით, სადაც წიგნადი ფონდი არსებობს.

სამუშაო შეხვედრაზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა სოციალური პროგრამების ეფექტურად განხორციელების შესახებ ისაუბრა.

გასული საუკუნის გარიჟრაჟზე დაბადებული საზანოელი ქალბატონი იუბილარია!

სოფელ საზანოში მცხოვრები ციცინო ცხელიშვილი 100 წლის გახდა, რომელიც გასულ საუკუნეში, 1924 წელს დაიბადა.

უხუცეს ქალბატონს, დაბადების დღე მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ მიულოცა.

100 წლის იუბილარს, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარესთან გიორგი ბარათაშვილთან ერთად, სახლში, პირადად ესტუმრა.

მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ იუბილარს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ვულოცავთ!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ალია ბარდაველიძე—40

მიმდინარე წლის 4 აპრილს, ალია ბარდაველიძეს, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ, ზედა სიმონეთელ სამხედრო მოსამსახურეს დაბადებიდან 40 წელი შეუსრულდებოდა.

ამ დღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად, ზედა სიმონეთში, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი გვირგვინით შეამკო და პატივი მიაგო დაღუპული გმირის ხსოვნას.

მემორიალზე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ოჯახის წევრები და მეგობრები იმყოფებოდნენ, სადაც მისი გმირობის ისტორია გაიხსენეს.

ლეიტენანტი ალია ბარდაველიძე ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანია. იგი 2008 წლის, რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომში გმირულად დაიღუპა. საკუთარი სიცოცხლე, ქვეყნის ერთიანობასა და მომავალს შესწირა.

ალია ბარდაველიძე გაიხსენეს მისი მშობლიური სკოლის მოსწავლეებმაც, აღსანიშნავია, რომ ზედა სიმონეთის სკოლას ალია ბარდაველიძის სახელი აქვს მინიჭებული, ასევე მის სახელს ატარებს ქუჩა, რომელზეც აგვისტოს ომის გმირი დაიბადა და გაიზარდა.

„ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს ომში დაღუპული გმირების პატივსაგებად, გმირების არდავიწყება და მათ ოჯახებზე ზრუნვა და თანადგომა ჩვენი ვალია!"—აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 3 აპრილს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე—გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს ორ საკითხს, რომლებიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილის მიერ იქნა წარმოდგენილი.

საკითხების წარმოდგენის შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეკითხვებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა და მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ უპასუხეს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი, მერის წარმომადგენელი საკრებულოში სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩვენი თერჯოლისათვის...

ბოლო პერიოდში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების, კეთილმოწყობა-გამწვანების სამუშაოების ინტენსიური განხორციელებით სულ უფრო და უფრო მშვენდება და ლამაზდება ჩვენი მუნიციპალიტეტი, მისი ცენტრი, ქალაქი თერჯოლა და ადმინისტრაციული ერთეულები.

ამ მიზნით, ახლახანს, ქალაქ თერჯოლაში, მუნიციპალიტეტის მერიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვადასხვა ჯიშის 80 მწვანე ნარგავი დაირგო.

გამწვანების აქცია მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლების ჩართულობით განხორციელდა.

აქციაში მონაწილეობა მიიღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თამჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა.

სტუდენტთა სტაჟირებისათვის შერჩევა ილისიდან დაიწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრ გიორგი ამილახვართან ერთად, აგრძელებს სტუდენტებთან შეხვედრებს. ამჯერად, შეხვედრა ქალაქ ქუთაისში, რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამას დეტალურად გაეცნენ.

პრემიერ-მინისტრმა სტუდენტებთან ერთად, სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, კურსდამთავრებულთა შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების მეთოდები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები განიხილა და სტუდენტებს ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების ახალი ხედვა გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდნენ: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი და ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ზაზა ლომინაძე.

პრეზენტაციის შემდგომ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაეზიარებინათ და მათთვის საინტერესო, აქტუალურ საკითხებზე ინფორმაცია პრემიერ-მინისტრისა და მინისტრისგან მიეღოთ.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა, რათა სწორედ მათი ჩართულობით განხორციელდეს ახალი მასშტაბური ინიციატივები. სტუდენტებთან რეგულარული შეხვედრების ჩატარება სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება.

ქუთაისში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. მსგავსი ტიპის შეხვედრა უკვე ჩატარდა თბილისში არსებული სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებთან, უახლოეს მომავალში კი, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის დაწყებიდან პირველივე წელს უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის 4-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების გავლას ყველა საჯარო დაწესებულებაში, რომელზეც ვრცელდება სტაჟირების მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, 2024 წლის სექტემბრიდან სახელმწიფო უწყებებში დაახლოებით 3 000-ზე მეტი კურსდამთავრებული გაივლის ანაზღაურებად სტაჟირებას სასურველ რეგიონში.

პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მეოთხე კურსის სტუდენტებს. მონაწილეთა შერჩევა 2024 წლის ივლისში დაიწყება – საჯაროდ გამოქვეყნდება ვაკანსიები, მოთხოვნები და კრიტერიუმები, შემდეგ კი დაიწყება განაცხადების მიღების პროცესი.

ქორწინება სიყვარულის დღეს...

...ახლა, ქორწინების თოთხმეტი წლის შემდეგ, უფრო ძლიერ უყვართ ერთმანეთი, ვიდრე მაშინ, როცა სიყვარულის დღეს—15 აპრილს დაემთხვა მათი მალულად შეუღლება.

ზესტაფონის რაონის, სოფელ ტაბაკინში გაზრდილი ნათია კელენჯერიძე ხშირად ახლდა ზესტაფონის ბაზარში მომუშავე ბებიას. პირველი შეხვედრისთანავე თავისად დაიგულა იგი ღვანკითელმა გიორგი ლომსიანიძემ.

16 წლის იყო ნათია, გიორგი ნათიაზე სულ რაღაც ოთხი წლით უფროსი.

არ გაითვალისწინა გიორგიმ რუსთაველის „სიყვარულსა მალვა უნდა“-ო და მალევე გაუმხილა სიყვარული მასაც და ყველას ეუბნებოდა, როგორ უყვარდა იგი. გიორგიმ მალე მიიღო თანხმობა, მაგრამ გაჯიუტდა ბებია, არა იმიტომ, რომ არ მოსწონდა გიორგი, არ უნდოდა ასე ახალგაზრდას შეექმნა ოჯახი შვილიშვილს და მისი სიმძიმე დასწოლოდა.

მაგრამ ვინ დაუჯერა! არ დაუჯერეს და კარგადაც მოიქცნენ. გამოიპარა ოჯახიდან ნათია 15 აპრილს, გამთენიისას, სიყვარულის დღეს.

ვერ ვიტყვით, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს არაფერი აკლდა და უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ სიყვარულმა გაიმარჯვა—უფრო ძლიერები და ბედნიერები არიან, რადგან მოჰყვებათ ეს სიყვარული და ჰყავთ სამი შვილი—გიორგი, ღვანკითის საჯარო სკოლის მე-6 კლასის, ანდრია მე-5 კლასის მოსწავლე და დემეტრე ბაღის აღსაზრდელი.

გიორგი ფეროშენადნობ ქარხანაში მუშაობს, ნათიას სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ოთახი გამოუყვეს და სილამაზის სალონი გახსნა, მანიკურის სპეციალისტია.

ოჯახს დიდი დახმარება გაუწია მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, მერის წარმომადგენელმა სოფელში ტარიელ კუბლაშვილმა, დეპუტატმა რუსუდან კოვზირიძემ. სოფო ბანძელაძემ, რომელსაც თერჯოლის ცენტრში სილამაზის სალონი აქვს, უსასყიდლოდ შეასწავლა სპეციალობა, ნათია მადლიერია მისი და სალონის თითოეული თანამშრომლის.

ნათიას პატივს სცემს სოფლის მოსახლეობა და კმაყოფილი ჰყავს მომხმარებელი.

ნათიას და გიორგის 14 წლიანი თანაცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, მაგრამ იმედიანად არიან. მუნიციპალიტეტის მერიამ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე გამოუყო ერთჯერადი ფულადი დახმარება, ისარგებლეს სახლდაზიანების პროგრამით, მაგრამ სახლი, სადაც ცხოვრობდნენ, მაინც ავარიული რჩებოდა. ახლახან მუნიციპალიტეტის მერიამ ოჯახი ქირით გაიყვანა სოფლის ერთ ოჯახში, „მე და გიორგი ვერაფერს ვიტყვით ისეთს, სრულად რომ გამოვხატოთ ჩვენი განწყობილება და მადლიერება, რომელიც ეკუთვნის ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, მერის წარმომადგენელს ტარიელ კუბლაშვილს, დეპუტატ რუსუდან კოვზირიძეს, ყველას, ვინც გვერდით უდგას ჩვენს ოჯახს. რით გადავიხდი?—კვლავ სიყვარული იქნება ჩვენს ოჯახში, სიყვარულით გავზრდით შვილებს, ჩავაგონებთ სიკეთეს, მადლიერების არდავიწყებას, ხშირად შევახსენებთ ადამიანებს, რომლებიც გვეხმარებოდნენ მათ აღზრდაში. იქნებ დადგნენ კიდეც ეს პატარა ბიჭები ისეთები, რომ დაეხმარონ სხვებს“. უნებურად გვახსენდება ქართული ფილმი, ეპიზოდი მოსიყვარულე, დროებით ნაკამათები ცოლ-ქმრით, სადაც მამაკაცი თავისთავს ეტყვის—„არც კი იცი, რომ მე შენი ნაოჭები უფრო მიყვარს, ვიდრე შენი მშვენიერი სახე ოცი წლის წინ“.

ნათია და გიორგი ჯერ ახალგაზრდები არიან, კიდევ გაჩნდებიან შვილები, გაძლიერდება ფუძე, მერე დაბერდებიან, გამრავლდება მათი შთამომავლობა, შვილიშვილების და შვილთაშვილების გარემოცვაში იქნებიან მშვიდად, ბედნიერად, მათ სიყვარულს კი წლები ვერაფერს დააკლებს.

ცქრიალა ღვინო განსაკუთრებული არომატით

რეპორტაჟი

...შვიდ თაობას ითვლის მირზა ცერცვაძის და მისი წინაპრების ცხოვრება ქვ. სიმონეთში. უფრო შორეული წინაპრები ზემო იმერეთში, სოფელ ხრეითში ცხოვრობდნენ.

მირზას შვილები: მათე, ბარბარე, ანა იკვლევენ გვარს, წარმომავლობას—უნდათ, რომ შექმნან საგვარეულო ხე. დაეძებენ ფესვებს, არკვევენ ვინ არიან, საიდან მოდიან, „გენეალოგიის ბიბლიურ ხეზე“ რომელია მათი ტოტი, ან ვინ იყო გვარის „წინამძღოლი და დამწყები“. სხვა რომ არაფერი გააკეთონ მირზას შვილებმა საკმარისი იქნება, რასაც აკეთებენ წინაპართა უკვდავყოფიდ, თუმცა ისინი აკეთებენ სხვა, ბევრ და სასიკეთო საქმეს!

შრომისმოყვარე წინაპრები ჰყოლია მირზას: ფირანა, გიორგი, მიხეილი, პავლე, ავთანდილი.

ისინი მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ. მირზა ამბობს, რომ მან გადმოიბარა წინაპრების დანატოვარი და აგრძელებს ამ საქმიანობას, რათა ათასწლოვან კულტურას კიდევ მრავალი ათასი წელი შეემატოს, ჩვენი მცირედი წვლილის დამსახურებითაცო.

მაინც რა არის ეს „მცირე“ წვლილი და რას ჰმატებს მირზა მას—აქვს 1250 ძირი სრულმსხმოიარე ვენახი—600 ძირი ძველი, მამისეული, 500 ძირი ახალშენი, 130 ძირი საფერავი. ყოველწლიურად იწევს 3 ტონაზე მეტ ყურძენს, რომელსაც წურავს და აყენებს უჟანგავი ლითონის კასრებში, ბოთლებში და ბოცებში ყოველდღიური საჭიროებისათვის. ასეთი საჭიროება კი მრავალი სამეგობროს პატრონსა და პურმარილიან კაცს ხშირად აქვს.

ციცქა და ცოლიკაური, ორი „მონათესავე“ ჯიში ერთად იძლევა ცქრიალა, ნამდვილ იმერულ ღვინოს, რომლის დაგემოვნებისას, როგორც ამ ღვინის ბევრი „დამგემოვნებელი“ ამბობს „აღმაფრთოვანებელ განცდას“ იწვევს დაგემოვნებისას, რაც დადასტურდა 2023 წლის ოქტომბერში თერჯოლაში გამართულ ღვინის ფესტივალზე. დეგუსტატორებმა მაღალი შეფასება მისცეს მირზა ცერცვაძის სახლის პირობებში დამზადებულ ღვინოს. ნომინაციაში მისმა შერეულმა ღვინომ გაიმარჯვა მრავალ საუკეთესო ღვინოებს შორის და მიიღო პრიზი და სიგელი, რომელიც მირზას ოჯახის რელიკვიად იქცა.

„ამ აღიარებამ უზომოდ გაგვახარა და კიდევ უფრო გაგვიღრმავა აზრი ვენახის გაშენებისა“—გვითხრა მირზამ. ოჯახში მიიღეს გადაწყვეტილება ახლო მომავალში 1000 ძირი ვენახი გააშენონ, ისევ ტრადიციული ჯიშები—ციცქა-ცოლიკაური.

მირზამ კარგად იცის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ისტორია საქართველოში, იცნობს ღვინის დაყენების წესებს, აქვს მრავალი სახის მოწყობილობა, რაც საჭიროა ყურძნის წურვა, გადაღება-შენახვისათვის. „არც ერთ ქვეყანას არ განუცდია ამ კულტურის იმდენჯერ დაცემა და კვლავ აღორძინება, რამდენიც საქართველომ განიცადა, არც ერთი ქვეყანა ისე თავგანწირვით არ იცავდა ვენახს, როგორც ქართველი“—ამბობს მირზა და მადლიერია წინაპრების, რომლებმაც შეაყვარა მატერიალური და კულტურული ეს მნიშვნელობის დარგი.

„ჩემს მეხსიერებაში ბაბუას დიდი ვენახები ჰქონდა. მაშინდელი მცირემიწიანობის პირობებშიც კი, ყოველთვის მაოცებდა მისი მშრომელი ბუნება, ვხედავდი საზოგადოებრივი შრომიდან დაბრუნებული, როგორ აბრუნებდა სავენახე მიწას ჭრაქის ლამპარზე. დაბერდა ბაბუის და მამის გაშენებული ვენახი, მაგრამ ბევრის გადარჩენა-განახლება შევძელით. ვაზმა თითქოს იგრძნო ზრუნვა და კვლავ გვაძლევს მოსავალს“ და გაჩნდა სურვილი ახალი ვენახების გაშენების.

„სანამ კაცი საკუთარი ხელით არ დარგავს ვაზს, მანამდე ვერ გაიგებს ნათქვამს: „ვაზო, შვილივით ნაზარდო“-ო—თქვა მირზამ და გაერთიანდა ოჯახი, აქ ყველა შრომობს: მირზა, შვილები, მშვენიერი მეუღლე ქეთევან ბეღელაძე. სწორია მირზას სიტყვები—ვაზს შეუძლია ადამიანების ერთმანეთთან დაახლოება, ოჯახის გამთლიანება, ვაზთან დაკავშირებული თითოეული პროცედურა დიდი სიყვარულით სრულდება მის ოჯახში.

დაძველებული ღვინო

1997 წლიდან ყოველწლიურად 20 ლიტრ

ღვინოს ინახავს. ერთი, პირველი ბოცა ახლა 27 წლისაა, დანარჩენი თითო წლით „უმცროსი“. ეს წინაპართა ტრადიცია არ არის, იგი მირზამ დააწესა და მას მისი ძე—მათე გააგრძელებს, მითუმეტეს, რომ მას უყვარს ყველაფერი ქართული, ტრადიციული. მათეს იდეაა—შექმნას არა მარტო ოჯახის, არამედ მთლიანად ცერცვაძეების გვარის გენეალოგია.

კითხვაზე—თუ აქვს ღვინის გასაღების ბაზარი, პასუხობს, რომ დიდი ძალისხმევა არ სჭირდება, ბევრი ნაცნობი ჰყავს თერჯოლასა და სხვა მუნიციპალიტეტებში, ქალაქებში, აკითხავენ და ჰყიდის...

ამ ოჯახის შემოსავალი არ არის მარტო ყურძენი და ღვინო, მირზას აქვს სხვა საქმე, შრომისმოყვარე ოჯახს კი სხვა შემოსავლები. სტუმარი მისთვის ყოველთვის სასურველია, ასი კაციც რომ ესტუმროს, ეზოს გადაღმა გადასვლა და ბაზარი შეიძლება არც დასჭირდეს.

ფიქრები ხრეითზე, ხრეველების წყაროზე, ხრეველების მუხაზე...

ხრეველების წყარო, ხრეველების მუხა ხრეითის ისტორიის პატარა ნაწილია.

მართალია, ცერცვაძეების ოჯახის მეშვიდე თაობას ხრეითთან კავშირი აღარ აქვს, მაგრამ მირზა და მათე, ქვეყანაზე, წინაპრებზე, ზნე-ჩვეულებებზე შეყვარებული მამა-შვილი, ხშირად ფიქრობენ ფესვებზე, ხრეითელ ცერცვაძეებზე, მათაც „გადაწვდება“ მათე და დაადგენს ვინ იყვნენ წინაპართა წინაპრები. მანამდე კი აქ, სიმონეთში გააგრძელებენ ძირძველ ტრადიციას—აუხდებათ ოცნება და მშვენიერი ლექსის ერთი სტრიქონი—„ჩვენი ამერ-იმერი ვაზით გადაბურე“.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

ჩემი მასწავლებლის ოთხმოცდამეთექვსმეტე გაზაფხული...

ჰაერში აყვავებული და სიმწვანემორეული რტოების სურნელი ძალუმად იგრძნობა... ავტომანქანა დაუბრკოლებლად მისრიალებს ულამაზესი სოფლის, რუფოთისაკენ მიმავალ შარაგზაზე. ხსოვნაში ბავშვობა ცოცხლდება, ბავშვობა, რომლის დაუვიწყარ მოგონებებსაც არაფერი შეედრება. ჩემი მეგზური ამ სოფლის მკვიდრი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელი ამირან სოფრომაძეა.

ცოტა არ იყოს ვღელავ. ორ დღეში ამ სოფლის მკვიდრს, პენსიონერ მასწავლებელს ნათელა მაჭავარიანს 96 წელი უსრულდება. ჩემთვის დიდი პატივია მისი მონახულება და დაბადების დღის მილოცვა. ქალბატონი, რომელიც ამირანის ბიცოლაა, რუფოთის 7-წლიან სკოლაში 1961-62-63 წლებში ჩემი გერმანულის მასწავლებელი იყო...

მახსოვს ახალგაზრდა, მომხიბვლელი, სანდომიანი სახის პედაგოგი, მერხებს შორის დინჯი ნაბიჯებით როგორ გვიმოწმებდა საშინაო დავალებებს თუ მომზადებულ გაკვეთილებს და თბილი ღიმილით გვაძლევდა შენიშვნებს. მას შემდეგ 60 წელზე მეტი გავიდა.

ამირანს საინტერესო მოგონებები აქვს დედულზე, ბებია-ბაბუაზე, ბიძებზე. იცის წარსულში შრომისმოყვარე, ძლიერი ოჯახის გამო გაკულაკების თუ გადასახლების ტკივილიანი წლების შესახებ.

დედულეთის სახლთან მანქანას ვაჩერებთ და ნათელა მასწავლებლის ქალიშვილი, რომელიც შვილებთან ერთად დედასთან ცხოვრობს, ლამაზად მოვლილ ეზოდან სახლში გვეპატიჟება...

აქ პირველი გაოცება იწყება. ნათელა მასწავლებელი სავარძელში ზის, ხელში სურათები უჭირავს და სათვალის გარეშე ცდილობს მასწავლებლობისას გადაღებულ სურათებში კოლეგებისა და მოსწავლეების ამოცნობას. ასე, სათვალის

გარეშე შეუძლია კითხვაც... უფრო მეტიც, მას ახსოვს, რომ 63 წლის წინ მე და ვერიკო და სხვებიც ერთ კლასში ვსწავლობდით...

ისევ ის ლამაზი, თბილი, ღიმილიანი, მშვიდი ქალბატონი, რომელიც სიხარულს ვერ მალავს, უნდა გამოგიტყდეთ და ვერც მე...

რუფოთში დაიბადა 1928 წლის 1 აპრილს. მამა მიხეილ გრიგოლის ძე მაჭავარიანი სოფელში საკოლმეურნეო წყობის პირველი ნოვატორი, სოფელ ტელეფის კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარეც ყოფილა. დედა, თალიკო კაკოიშვილი—დიასახლისი, რომლებმაც ნათელასთან ერთად კიდევ ორი ვაჟი სერგო და კოტე მაჭავარიანები აღზარდეს და განათლებაც მიაღებინეს. ნათელა ჯერ რუფოთის 7 წლიან სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი ალისუბნის საშუალო სკოლაში აგრძელებს სწავლას, ახსოვს ორივე სკოლის დირექტორი (დიმიტრი მაჭავარიანი და გიორგი ბოჭორიშვილი) და პედაგოგები...

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. ცხოვრება ჭირდა. სოფელში მამაკაცები თითქმის აღარავინ დარჩა, ქალებზე გადავიდა შრომის მთელი სიმძიმე. ისინი ხარებით ამუშავებდნენ ყანებს, წამლავდნენ ვენახებს. იხსენებს, რომ მოსწავლეებიც მთელი დატვირთვით იყვნენ ჩართული სამუშაოებში. ყანებისა თუ ჩაის პლანტაციების გაშენებამოვლაში ღვანკითსა და ზედა სიმონეთში... თუმცა, ღიმილით ამბობს: სულაც არ გვიჭირდა, არ ვიღლებოდით, სულ სიმღერითა და ცეკვათამაშით ვმუშაობდითო...

ბავშვობის მოგონებებს მტკივნეულად გასდევს თანასოფლელთა თუ ახლობელთა ოჯახებში ომიდან მიღებული საშინელი ამბების მაუწყებელი შეტყობინებები, რომლებიც სამწუხაროდ, არც თუ იშვიათი იყო.

ომი რომ დამთავრდა, ანუ 1945 წელს დაასრულა საშუალო სკოლა ქალბატონმა ნათელამ და იმავე წელს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მალე გაირბინა სტუდენტობის ოთხმა წელიწადმა და იგი 1949 წლიდან რუფოთის სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. 21 წლის ახალგაზრდა, ენერგიული და შრომისმოყვარე, პიონერხელმძღვანელობასაც ითავსებს...

იხსენებს: „ძალიან კარგად მიმიღო პედაგოგიურმა კოლექტივმა, ყველა ცდილობდა გვერდით დამდგომოდა, რჩევა დარიგებასაც მაძლევდნენ. უაღრესად მეგობრული და საერთო საქმისათვის თავდადებულ კოლეგათა ატმოსფერომ ჩემზედაც გარკვეული გავლენა მოახდინა. ყველას გვიყვარდა ერთმანეთი— მოსწავლეები, ჩვენი საქმე და ჩვენ-ჩვენი საგანი“.

მერე ჩვენ ერთად გავიხსენეთ მასწავლებლები, რომლებიც რუფოთელ და ტელეფელ მომავალ თაობას გარკვეული წლების განმავლობაში 7-წლიან, ხოლო 1965 წლიდან საშუალო განათლებას აძლევდნენ. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუდმივად გრძნობდნენ სოფლის და საზოგადოების სიყვარულს, პატივისცემას და თანადგომას:

ქალის უპირველეს საქმიანობად და საერთოდაც—მასწავლებლობა და ამ სფეროში კეთილსინდისიერი მოღვაწეობა ნათელა მასწავლებელს ყველაზე საპატიოდ და პრესტიჟულად მიაჩნია. უხარია, რომ ამ საყვარელი პროფესიით იყო დაკავებული, რომ მთელი მისი 40-წლიანი პედაგოგიური საქმიანობა რუფოთის სკოლაში გაატარა და მრავალი თაობის მოსწავლეთა ბიოგრაფიის ნაწილი გახდა. შემდეგ კი სკოლა დამსახურებულ პენსიაზე გასვლით დატოვა... შრომასთან შეზრდილი ქალბატონისათვის საოჯახო საქმე და შრომით მოწეული ჭირნახული მუდამ სიხარულს ანიჭებდა...

1965 წელს ნათელა მასწავლებელმა ბედი იმავე სოფლის მკვიდრს, ღირსეულ პიროვნებას კოტე ჭანკვეტაძეს დაუკავშირა. კარგი ოჯახი შექმნეს, ერთი ქალიშვილი შეეძინათ. სამწუხაროდ, მეუღლე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

ლელა რუფოთის საბავშვო ბაღის თანამშრომელია. ორი ვაჟკაცის დედა ადრე დაქვრივდა. ნათელა ბებოს სიხარული შვილიშვილები ალექსანდრე და კონსტანტინე და შვილთაშვილი დანიელი ხანთაძეები არიან. ალესანდრე (ალიკა) ცოლშვილიანია, ის მეუღლესთან, სოფო რობაქიძესთან ერთად თერჯოლაში ცხოვრობს, ორივე მათგანი შს თერჯოლის პოლიციის მუშაკები არიან.ჯერჯერობით ერთი ვაჟკაცი ჰყავთ, როცა შვილთაშვილი პატარა დანიელ ხანთაძე მშობლებთან ერთად სტუმრობს, განსაკუთრებულ დიდ სიხარულს ანიჭებს დიდ ბებიას. ძალიან ახარებს აგრეთვე ყოფილი მოსწავლეებისაგან შეხმიანება და მოკითხვა.

კარგად ახსოვს თერჯოლას „სატურიას“ რომ ეძახდნენ, რაიონის ცენტრი კი ჩხარი იყო, შემდეგ მაშინდელი რაიკომის მდივნის ევტეხი გოგიაშვილის ძალისხმევით მოხდა მისი თერჯოლაში გადმოტანა. ისიც ახსოვს თერჯოლაში რომ არაფერი იყო მანამდე, გარდა გიორგი ქავთარაძის აფთიაქისა...

დამშვიდობების დრო დადგა, ნათელა მასწავლებელს ვულოცავთ დამდეგ დაბადების დღეს, ჯანმრთელობასა და მხნეობას ვუსურვებთ და უფლის იმედით ვპირდებით, რომ 100 წლის იუბილეზეც ვესტუმრებით...

„შვილიშვილები 100 წლის იუბილეზე უკვე საუბრობენო, ამბობს, ახლობლებსა და მეგობრებსაც მოიწვევენ, ჟურნალისტიც მეყოლება და ამირანი თამადობას არ დაგვზარდებაო“— სიცილით ამბობს.

ღმერთმა ინებოს და ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ეს ნათელა მასწავლებელს სურს, მისი მეასე გაზაფულიც ასე ლამაზად შემოვიდეს მის ცხოვრებაში, როგორც ეს წელს მოხდა. თვითონ კი ბედნიერმა და ჯანმრთელმა, მისი უნიკალური მეხსიერებისა, მხედველობისა და უფლის წყალობით, კიდევ მრავალგზის გაგვაოცოს წარსულის არაერთი ლამაზი მოგონებით.

მზია ცქიფურიშვილი

მამული, ენა, სარწმუნოება

1☜

საქართველოს ყოველთვის და დღეს განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედაენის, ზოგადად მშობლიური კულტურის, ისტორიისა და აწმყოსეული პრობლემების კარგად გააზრებასა და ამ პრობლემების მცოდნე მომავალი თაობების აღზრდას, ამას ემსახურება ქართული ენის დღის აღნიშვნაც, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ზეიმობს ჩვენი ქვეყანა. საფუძველი კი 1978 წლის 14 აპრილია, როცა ქართული ენის დასაცავად თბილისის ქუჩებში 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა და არ დაუშვა მისთვის სახელწიფო ენის სტატუსის ხელყოფა.

„ქართულ ენას ღრმა ფესვები აქვს და ეს უფრო აშკარა ხდება... ინგლისელი არქეოლოგების მიერ უძველეს ბაბილონში აღმოჩენილია ქართული წარწერები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ, რომ ქართული ენა არის უპირველესი მსოფლიოს ენათა შორის“—„ქართული ენების დედაა, ტყუილად არ იწოდება დედაენად“.

„ქართული ენა მსოფლიოს მერვე საოცრებაა“.

ყველა ამ ციტატაში ალბათ დევს ჭეშმარიტების მარცვალი, მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვედრა და მსოფლიო აღიარებაც ამის დასტურია.

ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ, დიდმა თუ პატარამ უნდა იცოდეს ქართული ენის, ქართული დამწერლობის პატრონები რა სიმდიდრის მფლობელნიც ვართ. ამიტომაც აპრილის ამ ლამაზ დღეებში ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრსა თუ ბიბლიოთეკებში უამრავი ლამაზი ღონისძიება გაიმართა, რაც ჩვენი სათაყვანებელი დედა -ენის მოფერების, გაფრთხილების, სიყვარულის თუ მოვლა-პატრონობის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ამ ღონისძიებების შესახებ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში მოგითხრობთ.

მზია ცქიფურიშვილი

2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში განაცხადების მიღება 22 აპრილის დაიწყება და 5 ივლისის ჩათვლით გაგრძელდება.

მასწავლებლის ეროვნული დღე ყოველი წლის 27 ოქტომბერს – ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს აღინიშნება. ამასთან, ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია – სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო, 10 000 ლარის ოდენობით.

როგორც განათლების სამინისტროში ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნა 2024 წლის კონკურსი უფრო მასშტაბური იქნება, ვიდრე გასულ წელს და მასში კიდევ უფრო მეტი პედაგოგი ჩაერთვება. საბოლოო ღონისძიებამდე, საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა წინასწარი აქტივობა გაიმართება, რაც უზრუნველყოფს კონკურსის მიმდინარეობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

მოვუწოდებთ ყველა პედაგოგს, რომ იაქტიურონ. წელს გვექნება გარკვეული სიახლეები. კერძოდ, კონკურსი, შინაარსობრივად, მეტად იქნება დატვირთული.

„საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი“

წელიწადის დროთა შორის ზაფხული უყვარს განსაკუთრებით. რატომ?—იმიტომ, რომ „ცხოვრება დუღს!“—თქვა მოკლედ, ასეთი ფრთიანი გამოთქმა იხმარა და ამით ყველაფერი ახსნა.

ბედნიერებაა, მართლაც, როცა ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება დუღს და გინდა შენც ამ დუღილის ნაწილი იყო, როცა შენს მომავალს, სიცოცხლის აზრს და განახლება-განვითარების არსს მასში ხედავ... ამ პასუხმა ჩვენი დიდი წინაპრის უკვდავი სტრიქონები გამახსენა: „დალოცა ღმერთმა ისევ თავზე ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი... მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამაღლებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაივაგლახი... მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“...

ძალიან დიდი იმედისმომცემია, როცა აქტიური, ნიჭიერი და დაუდგრომელი თაობა მოდის, ასე საჭირონი და მნიშვნელოვანნი ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის და ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად იქნება ამ სტატიის რესპოდენტი ლიზი ნეფარიძე.

ლიზი „მზეკაბანი-2007“-ის წარჩინებული მეთორმეტეკლასელია, უყვარს პოეზია, ზოგადად ლიტერატურა. ყველა საგანში წარმატებული, მედლის კანდიდატია. მოსწონს თეატრი და სცენაზე დგომა, აქტიურად მონაწილეობს როგორც სასკოლო, ასევე რაიონულ ღონისძიებებში.

გასულ წელს მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ლიზის ცხოვრებაში. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრმა ის საფესტივალო სპექტაკლის ერთ-ერთ როლზე მიიწვია. მას შემდეგ, რაც ლიზის მონაცემები და შესაძლებლობები შეამოწმეს, როლზე დაამტკიცეს და ლიზიც

სიამოვნებით დათანხმდა.

ლიზის „მსახიობობის“ გარკვეული გამოცდილება ჰქონდა თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში სასკოლო სპექტაკლში მონაწილეობით, თუმცა ამ დონეზე თავი მაინც ვერ წარმოედგინა.

„საუკეთესო იყო ის დღეები, ამბობს ლიზი, სიხარულით მივდიოდი რეპეტიციებზე, თეატრის რეჟისორი მამუკა ცერცვაძე არაჩვეულებრივი პიროვნება და თავისი საქმის დიდი პროფესიონალია. მუშაობა საინტერესო იყო, დიდ დახმარებას მიწევდა როგორც რეჟისორი, ასევე სპექტაკლის მონაწილე პარტნიორი უფროსი მეგობრები: სოფო ბუსკივაძე, ლელა ამირანაშვილი, ეკა მაკარიძე, ელა შოთაძე, დიმა არეშიძე და ზურა ობოლაძე.

დადგა 30 ივნისი, როცა ლადო მესხიშვილის თეატრის სცენაზე „თეატრალური იმერეთის“ საერთაშორისო ფესტივალის მე-14 სეზონზე, ფრეკ მაკგინესის პიესის „ფაბრიკის გოგონების“ პრემიერაზე უნდა მეთამაშა... ვღელავდი ძალიან. იმ დღეს თეატრში ტევა არ იყო. ბევრი ჩვენი თერჯოლელი გულშემატკივარი თეატრში ვერ შემოვიდა.

ვგრძნობდი და მიხაროდა, რომ სპექტაკლმა მთლიანად და განსაკუთრებით ფინალმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კარგა ხანს არ წყდებოდა მაყურებელთა აპლოდისმენტები, ანუ ყველაფერი კარგად გამოგვივიდა და ბედნიერი ვიყავი.

მოუთმენლად ველოდით ჟიურის შეფასებას და საბოლოო გადაწყვეტილებას.

და აი, დადგა ის წუთებიც, როცა კომპეტენტური ჟიური საბოლოო შედეგს აცხადებს: არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი სცენაზე, როცა თერჯოლის სახალხო თეატრი, ნომინაციაში „საუკეთესო ახალგაზრდა ქალი მსახიობი“ გამარჯვებულად გამოაცხადეს და ამ პრიზის ადრესატი მე ვიყავი. იყო უსაზღვრო სიხარული, კიდევ უფრო შემიყვარდა თეატრი“.

კითხვაზე, ითამაშებს თუ არა კიდევ სპექტაკლში, ლიზი დაუყოვნებლივ პასუხობს, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემა, შანს ხელიდან არ გაუშვებს.

„მართალია, ჩემს სამომავლო პროფესიად მსახიობობა არ ამირჩევია, თუმცა არც იმას ვაპირებ, რომ მთლიანად ჩამოვშორდე, ვგეგმავ უნივერსიტეტში, სწავლის პარალელურად, ამ სფეროშიც მივიღო გარკვეული ცოდნა. თუ ჩემს უნივერსიტეტში თეატრალური ჯგუფი იქნება, აუცილებლად მეც იქ ვიქნები“.

ახლა ლიზი იქ დგას, საიდანაც მომავლის კონტურები იკვეთება. სწორედ მომავალი უჩვენებს სად და როგორ იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში.

ცხადი რეალობაა, რომ სცენას თავისი მიზიდულობა აქვს და ისიც ნათელია—ლიზი გულგრილი არ არის მის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ასე ბედნიერი გახადა იმერეთის თეატრალურმა ფესტივალმა—2023-მა, რისთვისაც მადლობას უხდის თერჯოლის სახალხო თეატრს და მის ხელმძღვანელებს.

სცენა კარგად მოირგო ლიზიმ მაშინაც, როცა დამდეგი 2024 წლის საახალწლო ღონისძიების თანაწამყვანობა შესთავაზეს ბაქარ კირკიტაძესთან ერთად. ლამაზმა ღონისძიებამ და წამყვანების არტისტიზმმა საუკეთესო წინასაახალწლო განწყობა შეუქმნა უამრავ მაყურებელს.

ლიზის არა მხოლოდ სცენის სიყვარული აქვს, ის სიამოვნებით მონაწილეობს ინტელექტუალურ თამაშებშიც. ამას წინ, „მზეკაბან-2007“-ის მეთორმეტეკლასელთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ლიზი ნეფარიძესთან ერთად იყვნენ: ანა კუბლაშვილი, ვახო პატარიძე, გიორგი გოგბერაშვილი, ნინი მაჭარაშვილი და გვანცა ქარქაშაძე, ქუთაისში ნოვატორთა აუდიტორიის მიერ ორგანიზებულ ინტელექტიადაში წარმატებულად იასპარეზა და ოთხეულში მოხვდა.

ლიზი რედაქციაში თანაკლასელ მეგობართან, ანა კუბლაშვილთან ერთად გვესტუმრა. გოგონებს ახარებთ თერჯოლაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ქალაქს ალამაზებენ და იერ-სახეს უცვლიან, მათ განსაკუთრებული მოლოდინი და ინტერესი აქვთ კინოთეატრის მიმართ. მიაჩნიათ, რომ ჩვენს ლამაზ რაიონს ნამდვილად უნდა ჰქონდეს კარგი ცენტრი, სადაც გაიმართება კონცერტები, სპექტაკლები, როგორც რაიონში არსებული მაღალი დონის სიმღერის, ცეკვის ანსამბლებისა თუ თეატრალური კოლექტივების, ასევე საგასტროლოდ ჩამოსული ცნობილი შემოქმედებითი კოლექტივების მიერ და უფრო მეტ ადამიანს ექნება საშუალება დასწრებისა, განვითარების მეტი სივრცე მიეცემა ადგილობრივ შემოქმედებით კოლექტივებს და კიდევ უფრო ლამაზ, შინაარსიან საღამოებს შესთავაზებენ აქაურ მაყურებლებს, უკეთესი გარემო იქნება ახალგაზრდების გართობისა და სხვადასხვა წრეებში ჩართულობისათვის.

წინ მომავლის გეგმებია—ეროვნული გამოცდები, უმაღლესში სასურველ ფაკულტეტზე მოხვედრა, შინაარსიანი, საინტერესო და საოცნებო სტუდენტობა, აქტიურ პოზიციაზე ყოფნა და... რაც მთავარია სამშობლოს მოვლა-პატრონობისა და მისთვის თავდადების ლამაზი ფურცლების ათვლა.

ერთი სიტყვით ყველაფერი წინაა...

გაზეთი „თერჯოლა“ ყველა ოცნების ახდენას უსურვებს ლიზის და მასთან ერთად ყველა ახალგაზრდას. წარმატებული უფლისაგან დალოცვილი გზასავალით დაელაშქროთ ყველა მწვერვალი ღირსეული ცხოვრების გზაზე.

მზია ცქიფურიშვილი

„ის მაინც ბრუნავს“

ამ დღეებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში გაიმართა ინტეგრირებული ინტელექტუალური თამაში „ის მაინც ბრუნავს“.

თამაშის ორგანიზატორები იყვნენ ცენტრის ინტელექტუალური კლუბები—„უხილავი ხილული“ (კოორდინატორი ლეილა სირაძე), „ერუდიტი“ (კოორდინატორი ოლიკო ვარდოსანიძე) და გეოგრაფიის კლუბი (კოორდინატორი ნორა ჩუბინიძე). თამაშის მიზანია გეოგრაფიული ინფორმაციული ცოდნის დაგროვება და საგნის პოპულარიზაცია.

მრავალფეროვანი იყო შეკითხვების თემატიკა—მსოფლიო გეოგრაფია. თამაშობდა 5 გუნდი. თითოეული გუნდის შემადგენლობაში იყო 6 მოთამაშე და 2 რეზერვი, თამაშის მიმდინარეობისას შეიძლებოდა გუნდში ცვლილების შეტანა. დებულების მიხედვით გათამაშდა 13 შეკითხვა და 2 ბლიცი. ბლიცი—5 შეკითხვა (თამაშობს გუნდი), სუპერ ბლიცი—3 შეკითხვა (თამაშობს 1 მოთამაშე გუნდის გადაწყვეტილებით).

შეფასება სწორი პასუხებით ჯამდებოდა. იმ შემთხვევაში თუ შეკითხვას მონაწილე გუნდებს შორის მხოლოდ ერთი გუნდი გასცემდა სწორ პასუხს, გუნდი ფასდებოდა 2 ქულით.

გრან-პრით დაჯილდოვდებოდნენ მხოლოდ გუნდის მიერ მაქსიმალური ქულების დაგროვებით, ჯილდოს მიიღებდნენ საუკეთესო ბლიც მოთამაშე, გუნდები, დიპლომებს კი მოთამაშე გუნდები.

სიქთარვის საჯარო სკოლის გამარჯვებული გუნდი თამაშის ორგანიზატორებთან ერთად

გუნდების წინააღმდეგ თამაშობდნენ: ნინო ოქრუაძე—„ცენტრის“ დირექტორი, დარეჯან მემანიშვილი—საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მზევინარ ბუსკივაძე—სწავლების ხარისხის მართვის მენეჯერი, ოლიკო ვარდოსანიძე—„ერუდიტის“ კოორდინატორი, ნათია გამყრელიძე—ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის კოორდინატორი, ნათია ხაჩიძე—„ცენტრის“ იურისტი. თამაში მიჰყავდა გეოგრაფიის კლუბის წევრს ვახო პატარიძეს და ინტელექტკლუბის „უხილავი ხილულის“ კოორდინატორს ლეილა სირაძეს.

თამაშში ჩართული იყო ხუთი საჯარო სკოლა—თერჯოლის №1 და №2, ახალთერჯოლის, სიქთარვის და ალისუბნის №2 საჯარო სკოლის გუნდები. გამოვლინდა გამარჯვებული და გრან-პრის მფლობელი სიქთარვის საჯარო სკოლის გუნდი. მათ აგრეთვე წილად ხვდათ პრიზი—საუკეთესო ბლიც მოთამაშე.

მეორე ადგილის გამოვლენისათვის თერჯოლის №1, №2 და ახალთერჯოლის სკოლების გუნდებს შორის საჭირო გახდა დამატებითი კითხვების გათამაშება. გამოვლინდა მეორე ადგილის მფლობელი—თერჯოლის №1 საჯარო სკოლის გუნდი, რომელიც შესაბამისი დიპლომებით დაჯილდოვდა.

მეორე ადგილის მფლობელი
თერჯოლის №1 საჯარო სკოლის გუნდი

მონაწილე გუნდებს გადაეცათ სიგელები.

გამარჯვებული—სიქთარვის საჯარო სკოლის გუნდი წარმოდგენილი იყო მონაწილეებით: ნოდარ კახიძე, გიგა კვატაია, თორნიკე კახიძე, ნიტა აბუთიძე, ნანიკო რობაქიძე, ტარილ მემანიშვილი, ბაჩო და ელენე ცხადაძები (რეზერვები).

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალი „საპოვნელა“ ახალი ისტორიის შექმნას რეგიონული ლიგიდან იწყებს

ძველ თერჯოლელებს კარგად ახსოვთ ის საფეხბურთო ციებცხელება, რაც თან ახლდა თერჯოლური საფეხბურთო გუნდების თამაშებს.

ჩვენი ფეხბურთელების არაერთი წარმატების მომსწრენიც გავმხდარვართ წლების მანძილზე, მაგრამ მათ შორის გამორჩეული მაინც „საპოვნელას“ ის მიღწევა იყო, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლების მოპოვებით მიაღწია.

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ჩვენი უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში გამოსვლა ხანმოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი სათამაშო სეზონი. მოკლედ, რომ ვთქვათ უმაღლესლიგაგამოვლილი „საპოვნელა“ დაიშალა.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა მტკივნეულად აღიქვეს თერჯოლელმა ფეხბურთის მოყვარულებმა, ფეხბურთის თერჯოლელმა სპეციალისტებმა, ახალგაზრდებმა, რომლებსაც უყვართ ფეხბურთი...

თანდათან მომწიფდა აზრი, რომ აუცილებელი იყო საფეხბურთო გუნდის შექმნა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით კვლავ ჩაებმებოდა საფეხბურთო ბრძოლებში.

მისასალმებელია, რომ ეს საზოგადოებრივი აზრი გასულ წელს ჭეშმარიტი რეალობა გახდა და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ძალისხმევით თერჯოლის სპორტსკოლასთან შეიქმნა საფეხბურთო გუნდი.

ახალი „საპოვნელა“, ანუ იგივე საფეხბურთო გუნდი „საპოვნელა-2023“, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დასავლეთ რეგიონულ ლიგაში ასპარეზობს.

გუნდის მთავარი მწვრთნელი თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი რამაზ გურაბანიძეა.

ამ სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ გუნდის თითქმის ყველა წევრია გამოსახული.

საგულისხმოა, რომ გუნდის ბაზად შერჩეულ იქნა სოფელ ღვანკითისა და ქალაქ თერჯოლის გუნდების ის ფეხბურთელები, ვინც რაიონის აწგარდაცვლილი მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელობის ტურნირის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს გასული წლის ოქტომბერში.

სამწუხაროდ, ახალმა გუნდმა პირველი თამაში დიდი ანგარიშით 4:1 წააგო ქუთაისის „მართვესთან“. გულსატკენია, რომ ამ თამაშში მძიმე ტრამვა მიიღო „საპოვნელას“ ფეხბურთელმა გოგა არაბიძემ, რომელსაც ურთულესი ოპერაცია დასჭირდა ლავიწის ძვალზე. გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ მას.

თერჯოლელებმა მეორე შეხვედრა ბევრად უფრო ორგანიზებულად ჩაატარეს და აშკარად დაჩაგრეს ჩვენი მეზობლები—ტყიბულის „მეშახტე“, რომელიც 4:1 დაამარცხეს.

ორ თამაშში, თერჯოლელთა ანგარიშზე, 5 გატანილი გოლი ირიცხება! ამ გოლების ავტორებია: გია ფანჩულიძე—2, შალვა ცქიფურიშვილი, იმედა ქათამაძე და თორნიკე მურუსიძე თითო გოლი.

მხარში დავუდგეთ და წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს ახალ „საპოვნელას“.

P.S. აქვე გთავაზობთ „საპოვნელას“ თამაშების კალენდარს.

რეგიონალური ლიგა
გათამაშების ცხრილი 2024

III—15 აპრილი
„მაღაროელი“—„საპოვნელა“
IV—22 აპრილი
„საპოვნელა“—ისვენებს
V —29 აპრილი
„საპოვნელა“—„ტორპედო 2“
VI — 13 მაისი
„ჯვარი“—„საპოვნელა“
VII— 20 მაისი
„საპოვნელა“—„საირმე“
VIII —27 მაისი
„ჩელე აკადემია“—„საპოვნელა“
IX—3 ივნისი
„საპოვნელა“—„კოლხეთი 2“
X —10 ივნისი
„ბსუ“—„საპოვნელა“
XI—18 ივნისი
„საპოვნელა“—„ეგრისი“
XII —24 ივნისი
„იმერეთი“—„საპოვნელა“
XIII—29 ივნისი
„საპოვნელა“—„ჩიბათი“

რეგიონლიგის გუნდები:

„ბსუ“—ბათუმი, „ეგრისი“—სენაკი, „იმერეთი“—ხონი, „ჩიბათი“—ლანჩხუთი, „მართვე“—ქუთაისი, „მეშახტე 2“—ტყიბული, „კოლხეთი 2“—ფოთი, „მაღაროელი“—ჭიათურა, „საპოვნელა“—თერჯოლა, „ტორპედო 2“—ქუთაისი, „ჯვარი“—ჯვარი, „საირმე“—ბაღდათი, „ჩელე აკადემია“—ქობულეთი.

წინა პლანზე: სოფრომაძე დემური, ბოჭორიშვილი გიორგი.
პირველ რიგში: ცქიფურიშვილი შალვა, ბერძული გიორგი, ქათამაძე იმედა, ფუტკარაძე ვახტანგი, რობაქიძე საბა, ნიკოლაძე გიგი, ცქიფურიშვილი გუგა, კოვზირიძე მამულო (ტექნიკური მენეჯერი), გურაბანიძე რამაზი (მთ. მწვრთნელი). **მეორე რიგში:** ხუჯაძე კობა, ბიწაძე ლევანი, ღიბრაძე ნიკა, მურუსიძე თორნიკე, ფანჩულიძე გია (გუნდის კაპიტანი), გეწაძე გიორგი, არაბიძე გოგა.

„თერჯოლა“

თერჯოლელი სპორტსმენების წარმატებები

წარმატებით აგრძელებენ გამოსვლას თერჯოლის სპორტული სკოლის სპორტსმენები საქართველოს მუნიციპალიტეტებში დაგეგმილ ღონისძიებებზე.

2-4 მარტი. ქალაქი ხაშური. რესპუბლიკური პირველობა ბ / რ ჭიდაობაში.

ლუკა მაჭავარიანი და იური ჩაფიძე პირველი ადგილი, გიგა ჩაფიძე, გოჩა ნიკოლაძე და გიორგი თორთლაძე მეორე ადგილი, ცეზარი ამბროლაძე, რეზი ამბროლაძე, გიორგი ჩოგოვაძე, მოსე ბარდაველიძე, გიორგი ნიკოლაძე, გიგა ჭეიშვილი და შოთა ჯაში მესამე ადგილი.

18-20 მარტი. ქალაქი გორი. საქართველოს პირველობა ბ / რ ჭიდაობაში 15 წლამდელებს შორის.

ბუიღლიშვილი ლუკა (85 კგ) პირველი ადგილი.

23 მარტი. ქალაქი ხელვაჩაური, აჭარის ღია პირველობა კარატეში.

გიორგი რობაქიძე—55 მეორე ადგილი, გიორგიმ ასევე აბსოლუტურ წონაში დაიკავა მეორე ადგილი.

გოჩა ჩაფიძე 65 მეორე ადგილი, ლუკა გაფრინდაშვილი 50 მესამე ადგილი.

20-26 მარტი. ქალაქი ქუთაისი. საუნივერსიტეტო ღია პირველობა სამბოში და ძიუდოში.

თემური ბუცხრიკიძე 55 კგ მეორე ადგილი სამბოში.

თემური ბუცხრიკიძე 55 კგ მეორე ადგილი ძიუდოში.

რატი ზარნაძე 80 კგ. მესამე ადგილი სამბოში.

30-31 მარტი. ქალაქი თერჯოლა. სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონების და პრიზიორების თამაზ სოფრომაძის და ვიტალი გაბიანის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირზე მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ქობულეთის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ჭიათურის, ახალგორის, ვანის, ოზურგეთის, ხარაგაულის, თერჯოლის გუნდებმა სულ 130-მა სპორტსმენმა.

თერჯოლელი სპორტსმენების მონაგარი ასეთია:

ზურა ბოჭორიშვილი (30კგ), ჭაბუკი ზარნაძე (73 კგ) პირველი ადგილი. ოთარ ჯაბიძე (60 კგ), რატი ზარნაძე (81 კგ) მეორე ადგილი. ლუკა კირკიტაძე (55 კგ), დავით ხუჯაძე (73 კგ) მესამე ადგილი.

ვიტალი გაბიანის პრიზი გადაეცა ზურა ბოჭორიშვილს 30 კგ, ხოლო თამაზ სოფრომაძის პრიზი გადაეცა რეზი დიდმანიძეს, ოზურგეთი, 81 კგ.

გუნდები შეჯიბრებისათვის მოამზადეს: დიმიტრი გურგენიძემ, გიგა ჩაფიძემ, ირაკლი ღონღაძემ, ლერი ჯიხვაშვილმა, მალხაზ თურქაძემ, ონისე ბოჭორიშვილმა, ლერი რობაქიძემ, ზურაბ გავაშელაშვილმა.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი სპეციალისტი.

მსოფლიო ვიცე ჩემპიონი ამხანაგობის კორპუსიდან „საპოვნელა“

სრული 31 წელი გავიდა „ხელისგულზე დასატევ“ და „ცრემლს რომ ოდნავ აღემატება“ იმ მშვენიერი აფხაზეთის დაკარგვიდან. აფხაზეთის 300 ათასზე მეტი მკვიდრი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ისინი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმოიფანტნენ, ზოგი სხვა ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსით წავიდა. 600-ზე მეტი დევნილი მიიღო მაშინ თერჯოლამ, ძირითადად „საპოვნელაში“ განთავსდნენ. მრავალი საინტერესო, რაიონული თუ რესპუბლიკური ღონისძიებების მომწყობი და მასპინძელი, ახლა დევნილთა მასპინძელი გახდა, შეწყდა სისხლსავსე, ათასგვარი სასიამოვნო მოულოდნელობით სავსე ცხოვრება.

მძიმე იყო გზა აფხაზეთიდან ჭუბერამდე, ჭუბერიდან თერჯოლაში, „ურიცხვი ქონების“ დაკარგვა, ახლობლების გარდაცვალება. დიდხანს ცხოვრობდნენ დევნილები საპოვნელას კორპუსებში, მერე გაიკვლიეს გზა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, საზღვარგარეთ, მაგრამ მაინც მრავლად შემორჩნენ თერჯოლას, თერჯოლაში დამკვიდრებულნი ყოფილი საავადმყოფოს გარემონტებულ კორპუსში ცხოვრობენ და მას სიყვარულით „კორპუსი საპოვნელა“ შეარქვეს.

ამ კორპუსში ცხოვრობს ახლა რეზო გაჩეჩილაძე. მისი მშობლები ამირან და ზეინაბ გაჩეჩილაძეები ჭუბერზე გადმოვიდნენ 12 წლის გოჩასთან ერთად. აქ დაიბადნენ რეზო, ზაალი, თინათინი. გოჩა და ზაალი თბილისში ცხოვრობენ, თინათინი და რეზო თერჯოლაში.

„ვერცხლს ოქროთი ჩავანაცვლებ“

რეზო გაჩეჩილაძეს ბავშვობიდან უყვარდა სპორტი. თერჯოლის სპორტსკოლაში ზურაბ გავაშელაშვილი და მალხაზ თურქაძე წვრთნიდნენ, ჭიდაობას ასწავლიდნენ. რეზო მადლიერია მათი და სპორტსკოლის ხელმძღვანელობის, №2 საშუალო სკოლის პედაგოგების, რომლებიც სიყვარულით ზრდიდნენ. თერჯოლაზე სიყვარულით საუბრობს, თუმცა უყვარს გულრიფში, სადაც მშობლები ცხოვრობდნენ, რეზომ ბევრი რამ იცის აფხაზეთზე, უყვარს გადმოცემით, „შორიდან“. ეს ოჯახი, ისე, როგორც ყველა დევნილი, დაბრუნებაზე ოცნებობს.

დაბრუნებამდე კი რეზო გაჩეჩილაძე მომავალი წარმატების ბაში. თერჯოლას ერთი მონაწილე ჰყავდა, დანარჩენი რვა სხვა მუნიციპალიტეტებიდან იყო. რეზომ ქ. ბურსაში ოთხი მონაწილიდან სამთან გამარჯვება მოიპოვა, მეოთხესთან, ერაყელ მოჭიდავესთან დათმო და მოიპოვა მსოფლიო ვიცე ჩემპიონის ტიტული, სიგელი და ვერცხლის მედალი.

რეზო ამაყობს, რომ ჭიდაობს სახეობაში „ალჰაგუტ გრემპლინგი“. ქართველებმა დადეს ისტორიული შედეგი—მოიპოვეს პირველი ადგილი გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს მასშტაბით. „დავჯერდი ვერცხლს, მაგრამ ბევრს ვიმუშავებ და ვერცხლს ოქროთი ჩავანაცვლებ, საამისოდ თავს არ დავზოგავ“—ამბობს რეზო და ეს სიტყვები უნდა ვირწმუნოთ, რადგან მას ჰყავს გამოცდილი მწვრთნელი გენადი ჩირგაძე, დახმარებას უწევს საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მამუკა მღვდელაძე.

რეზოც ბევრს მუშაობს, ამ სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება, შრომისმოყვარეობა, სპორტის სიყვარული თავისას გაიტანს, რეზო ჯერ 30 წლისაა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დაპირებისამებრ მსოფლიო ჩემპიონატზე

მოლოდინშია, პირველი წარმატება კი ასე იყო: ქ. ქუთაისში გაიმართა შესარჩევი ტური მოჭიდავეთა შორის, გაიმარჯვა და ჩარიცხეს საქართველოს ნაკრების წევრად. ეს დიდი სტიმული იყო რეზოსთვის და სისტემატიურად ვარჯიშობდა. ოთხი შეხვედრა ჩაატარა ქუთაისში, აქაც გაიმარჯვა და მონაწილეობა მიიღო თურქეთში, ქ. ბურსაში გამართულ შეჯიბრებზე ვერცხლს ოქროთი ჩაანაცვლებს. რეზოს ამჟამად ლერი ჯიხვაშვილი წვრთნის, თერჯოლაში ვარჯიშობს. რეზო მადლობელია მუნიციპალიტეტის მერის ბატონ მანუჩარ რობაქიძის, რომ არა მისი თანადგომა ამ შედეგს ვერ დავდებდი-ო, ამბობს და მომავალშიც აქვს მუნიციპალიტეტის პირველი პირის იმედი.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ელიზა და დათო ბლიაძეებს დედისა და სიდედრის
ლია ჯანელიძე-შენგელიას
გარდაცვალების გამო.

ზეციური საუნჯე

მაცხოვრის მიერ წარმოთქმული შვიდი სიტყვა ჯვარზე ტანჯვით აღსრულებისას

მღვმდელთმსახური დავითი (ჭანტურიძე) გვესაუბრება მაცხოვრის შვიდ სიტყვაზე, რომელიც მაცხოვარმა ჯვარზე გაკრულმა წარმოთქვა.

სახარების მიხედვით, ქრისტე ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებში იერუსალიმის ხილვისას წუხდა, რადგან ქალაქი, ქვეყნიერების ნათლად მოწოდებული, ბოროტებაში ჩაძირულიყო.

სამღვდელოთა და მთავართაგან უარყოფილი და ბრბოსაგან შეურაცხყოფილი, ავაზაკთა შორის შერაცხილი, ძე ღვთისა ტანჯვით აღესრულებოდა ჯვარზე იმ დროს, როცა იერუსალემი პასექის დღესასწაულისათვის ემზადებოდა.

აი, ეს სიტყვები:

პირველი სიტყვა „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არ იციან რასა იქმან“ (ლუკა 23, 34).

ზეციური სიყვარული გაითელა ადამიანური სიძულვილით. სამყარო განაჩენს ელოდა. განაჩენი წარმოითქვა ნაგვემი, შეურაცხყოფილი, ტანჯული ძე კაცისას მიერ. ამ სიტყვებით მან მოწყალება გამოხატა მკვლელების მიმართ.

საშინელი დანაშაულის გასაქარწყლებლად არ იქნებოდა საკმარისი ზეციური გრგვინვა, ცეცხლი სოდომისა და გომორისა. თვისობრივად სხვა რამ იყო საჭირო, ადამიანთა და ადამიანურ ურთიერთობათა სხვა კანონი, და ეს ახალი კანონი იყო—პატიება, შენდობა, ყოვლისმიმტევებელი სიყვარული. ყოველი მორწმუნე სიხარულით და სიყვარულით წარმოთქვამდა მხსნელის სიტყვებს. მიმტევებლობის ამ სიტყვებს მხოლოდ მას შემდეგ მიეცა ძალა, რაც ისინი ქრისტემ წარმოთქვა.

მეორე სიტყვა: ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა (ლუკა 23, 43).

სამი ჯვარი აღმართა პილატემ გოლგოთაზე: ორი ავაზაკთათვის და ერთი მაცხოვრისთვის. კვდებოდნენ ტანჯული ავაზაკებიც, ამ დროს ერთი ავაზაკის გული იმედმა და სიყვარულმა მოიცვა და გაისმა სინანულის ხმა. დამცირებულ, ნაგვემ, დასისხლიანებულ მომაკვდავ ადამიანში გონიერმა ავაზაკმა მესია, მაცხოვარი შეიცნო და რწმენით სთხოვა, რომ როცა მოვიდოდა დიდებით, მოეხსენებია იგი. აი ამ ლოცვისა და რწმენის პასუხად მიუგო უფალმა ავაზაკს ეს სიტყვები.

ეს სიტყვა მანუგეშებელია ცოდვილთათვის, რომლებიც შეძლებენ ბოლო წამს შენანებას. ამრიგად, უფალი უკანასკნელ ამოსუნთქვამდეც აცხოვნებს ყველას, ვინც კი ცხონებისათვის მცირეოდენ ნებას მაინც გამოამჟღავნებს.

მესამე სიტყვა: „დედაკაცო, აჰა, ძე შენი (იოანე 19, 26).

იხილა მაცხოვარმა დედაი თვისი და მოწაფე, იოანე მოციქული, რომელიც უყვარდა. დედა უფლისა იდგა ჯვართან თავმდაბალი, შეუმჩნეველი, მის თვალწინ აღესრულებოდა ღვთაებრივი შვილის ჯვარცმა, ენით გამოუთქმელი ტკივილებით. მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: „აჰა, დედაი შენი“ (იოანე 19, 27) უთხრა საყვარელ მოწაფეს, ამ სიტყვებიდან გამოსჭვივის შვილის მზრუნველობა მშობლის მიმართ და აღსრულებისა მცნებისა: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“, რომელიც თავად მისცა კაცობრიობას.

მეოთხე სიტყვა: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტეობ მე“ (მკ. 15, 34).

გამოუთქმელი ტანჯვისაგან ქრისტეს მიწიერი ცხოვრება განილეოდა. თავისიანებმა არ მიიღეს ადამიანად მოსული უფალი. უახლოესი მეგობრებიც შემოეფანტნენ, ჯვართან რამდენიმე ახლობელი დარჩა... იტანჯებოდა მაცხოვარი მარტოობისაგან, გამცემლობისაგან, ამ სოფელში ბოროტის ზეობისაგან. ეს სიტყვები ასეთი მძაფრი განცდით შეჰღაღადა ჯვარცმულმა ძემ კაცისამ ზეციურ მამას მთელი კაცობრიობის სახელით, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს—სიმართლის მაძიებელთ და ღვთისმოყვარეთ ყოველთვის ტანჯავდათ კითხვები და დღესაც ისმება ისინი, თუ რატომ მიეცა დედამიწა უსჯულოებს, რატომ იდევნებიან მართალნი, რატომ არიან აღზევებული ბოროტისმქმნელნი და რატომ ზეიმობენ უსამართლონი? პასუხი მაცხოვრის შეფასებაშია, რომ „ეს სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ და რომ მართალნი ესწრაფოდნენ იერუსალიმში, ჭეშმარიტ სამშობლოში დამკვიდრებას.

ზეციური მამისადმი ჯვარცმული მაცხოვრის ამ მიმართვით გამოჩნდა, რომ ჯვარზე იესო ღმრთაებრივი ბუნებით კი არ ევნო, არამედ ადამიანთათვის მოკვდა, როგორც კაცი. ამრიგად, ძე ღმრთისამ განკაცებით და ჯვარზე სიკვდილით უკიდურესად დაიმდაბლა თავი და ადამიანური ნებით ბოლომდე დაემორჩილა ღმრთაებრივ ნებას.

მეხუთე სიტყვა: „მწყურის!“ (იოანე 19, 28).

სწყუროდა უფალს, კაცობრივად იტანჯებოდა წყურვილით და ითხოვდა წყალს ადამიანებისაგან, რითაც დასტურდება, რომ მაცხოვარს არავინ ძულს, იგი გულწრფელად ითხოვს წყალს, რადგან გაბოროტებული და გულქვა ჯალათებისაგან ადამიანურ თანაგრძნობას ელოდა... არ მალავდა გრძნობებსა და ტკივილებს, რამეთუ უყვარდა ისინი და სწყუროდა საპასუხო გრძნობა.

შესაძლოა დაისვას კითხვა: ჭეშმარიტად რა სწყუროდა მაცხოვარს, წყალი თუ სიყვარული? წყალი საჭირო იყო ადამიანური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ხოლო სიყვარულს ითხოვდა და ელოდა ქრისტეს, როგორც კაცობრივი, ისე ღვთაებრივი ბუნება.

მეექვსე სიტყვა: „მამაო, ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა (ლუკა 23, 46).

უფალი ღმრთის საიდუმლო განგებისადმი სრული მორჩილებით აღესრულებოდა, „გამოვედ მამისაგან და მივალ მამისა“—მიმართავდა რა იგი მოწაფეებს, უფალი ტოვებდა მიწიერ ცხოვრებას და თავის სულს მამის ხელთ აბარებს.

სწორედ ასე უნდა სრულდებოდეს ყოველი ქრისტიანის სიცოცხლე ამქვეყნად უფლის სიტყვებით: „ხელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“, რომელშიც გამოსჭვივის როგორც რწმენა სასიხარულო, ისე წუხილი უსაზღვრო.

მეშვიდე სიტყვა: „აღსრულებულ არს!“ (იოანე 19, 30).

თქვა ეს სიტყვა უფალმა ჯვარზე—„მიიდრიკა თავი და განუტევა სული“.

აღსრულდა რაღაც დიადი, მოხდა დაცემული ადამის აღდგინება, ქრისტეში ადამიანის ღმერთთან შეერთება, ცოდვების წარხოცვა, სიცოცხლის განახლება, მამის მიერ მოცემული საქმე აღასრულა ძემ. აღსრულდა და დაიბეჭდა სისხლითა და სიკვდილით ღვთაებრივი საქმე, ჭეშმარიტი მესიისა. ამიერიდან და ვიდრე უკანასკნელ საუკუნემდე, იგი გახლავთ ადამიანური ბუნებით ძლევაი სიკვდილისა, აღდგომა და საუკუნო ცხოვრება.

ესაუბრა
ჟუჟუნა ცხადაძე

მაცხოვრის გარეგნობა გადმოცემათა მიხედვით

იოანე დამასკელის აღწერილობით

იესო ჰგავდა ქალწულ მარიამს. იგი იყო ლამაზი და განსაცვიფრებლად მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, ღია ფერის რამდენადმე დახვეული თმებით. ჰქონდა მუქი წარბები, ოვალური სახე, ფერმკრთალი და შავგრემანი იერით, ნათელი თვალები და გამოხედვა, რომელშიც იხატებოდა მოთმინება, კეთილშობილება და სიბრძნე.

რომის სენატისადმი გაგზავნილი წერილიდან

გამოჩნდა უდიდესი სათნოების ადამიანი, სახელად იესო. ის ტანმაღალია, მშვენიერი, აქვს კეთილშობილური სახე, ისე, რომ ვინც მას უყურებს, ერთდროულად სიყვარული და შიში იპყრობს. აქვს თაფლისფერი დატალღული თმა, დახუჭუჭებულიც კი, რომლებიც მხრებზე დაცემისას ბზინავს, ნაზარეველთა ჩვეულებრივ შუაზე აქვს გაყოფილი, შუბლი სუფთა და სწორი აქვს, სახეზე არც ერთი ლაქა და ნაოჭი არ ატყვია, ვარდისფერი დაჰკრავს. ცხირ-პირი უნაკლო სილამაზისა, წვერი ხშირი, მოკლე, ისიც შუაზე გაყოფილი, თვალები ცისფერი და ძალიან ნათელი.

ის შიშის მომგვრელია, როცა კიცხავს და სიყვარულით აღსავსე, როცა შეაგონებს, მხიარულია, მაგრამ ღირსებას ყოველთვის უნარჩუნებს, ტანი და ხელ-ფეხი მშვენიერი აქვს. საუბრის დროს სერიოზულია, თავმდაბალი და ზომიერი,

ის უმშვენიერესია კაცთა მოდგმაში.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872